

ამფეთქებელი 041451
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა:

აფეთქება წარმოადგენს სამთო და სამშენებლო წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან, სპეციალურ სფეროს. მისი აუცილებლობა განპირობებულია სამთო საწარმოების (შახტების, მადაროების, მიწისქვეშა და ღია სამუშაოების), სამშენებლო და საგზაო მშენებლობების, აგრეთვე მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების ლიკვიდაციის სამუშაოების წარმართვის საჭიროებებით. მასზე დიდწილადაა დამოკიდებული წარმოების სრულფასოვანი და უსაფრთხო მუშაობა.

II. დასაქმების სფერო

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს:

- სამთო საწარმოებში, შახტების, მადაროების და მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობაზე;
- ღია სამთო სამუშაოებზე (კარიერებზე), სამშენებლო და საგზაო მშენებლობებზე;
- მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების ლიკვიდაციაზე.

III. დამატებითი მოთხოვნები

პრაქტიკის ინსტრუქტორს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ამფეთქებლის პროფესიული განათლება არის ხუთსაფეხურიანი და თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ამფეთქებლის პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ამფეთქებლის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ამფეთქებლის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ამფეთქებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ამფეთქებლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს, რომლის 40% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ამფეთქებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ამფეთქებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 60% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ამფეთქებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ამფეთქებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 65% ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 35% სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება მეხუთე საფეხურის ამფეთქებლის პროფესიული კვალიფიკაცია.

ამფეთქებლის პირველი საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს მარტივი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. იცის ფეთქებად ნივთიერებების და ასაფეთქებელი მოწყობილობების მოპყრობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები.	ზოგადად იცის ღია სამთო სამუშაოებზე აფეთქებითი სამუშაოების დანიშნულება: ფეთქებადი მასალების მიღება, ტრანსპორტირება და სანგრევის დამუხტვა. მონაწილეობს აფეთქების უსაფრთხო ზონის საზღვრების მონიშვნასა და მის დაცვაში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია ამფეთქებლის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი და ერთგვაროვანი დავალებები.	შეუძლია ამფეთქებლის ხელმძღვანელობის ქვეშ ფეთქებადი მასალების საწყობიდან მიიღოს ასაფეთქებელი ნივთიერებები. განალაგოს ეს ნივთიერებები სატრანსპორტო საშუალებებზე დადგენილი წესით. დაიცვას ასაფეთქებელი მასალები სამუშაო ადგილზე. მონაწილეობა მიიღოს სანგრევის დამუხტვაში.
დასკვნის უნარი	შეუძლია ამფეთქებლის მითითების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოვლენილი პრობლემების ამოცნობა.	შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალისწინებით ასაფეთქებელი ქსელის მონტაჟის პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების - სადეტონაციო ან ნონელის ტიპის ზონარების დაჯგუფება ან დაწყვილება, ჭაბურღილების ინერტული მასალებით დაცობის და სამონტაჟო ქსელის ირგვლივ წყლის მოცილების აღმოფხვრა.

კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.	შეუძლია აფეთქებასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე ხელმძღვანელობას წარუდგინოს ზეპირი და წერილობითი ანგარიშები. შეუძლია საჭირო ინფორმაციის გააზრება; მოცემული დავალების გაგება და საჭიროების დაზუსტება. ფლობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია ინტერნეტით, მობილურითა და კალკულატორით სარგებლობა.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა.	შეუძლია პროგრამით განსაზღვრული საგნების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა. ნასწავლი მასალის გადმოცემა და პრაქტიკულად განხორციელება. შეუძლია აფეთქებითი სამუშაოების ერთიანი უსაფრთხოების წესების, მისთვის განკუთვნილი პარაგრაფების ზედმიწევნით შესწავლა და ამ წესების პრაქტიკულად დაცვა; სხვისი ხელმძღვანელობით და შეფასებების გათვალისწინებით შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება.
ღირებულებები	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს.	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. იცის სამთო საქმის ძირითადი დანიშნულებები. გაცნობიერებული აქვს პროფესიული მოვალეობები. ყურადღებით ეპყრობა ფეთქებად მასალებს. განუხრელად იცავს აფეთქების საქმის ერთიან უსაფრთხოების წესებს. არის კეთილსინდისიერი და კომუნიკაბელური.

ამფეთქებლის მეორე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	იცის აფეთქების საქმის ერთიანი უსაფრთხოების წესები. კარგად ფლობს აფეთქებისათვის საჭირო გამზომ-საკონტროლო ხელსაწყოებს. ეხმარება ოსტატ-ამფეთქებლებს ელექტრო დეტონატორების ტარირებაში; საწყობიდან ფეთქებადი მასალების მიღებასა და ტრანსპორტირებაში. კარგად იცის მიწისქვეშა კომუნიკაციები და გვირაბები. იცის ფეთქებადი ნივთიერებების კლასიფიკაცია. ეხმარება ოსტატ-ამფეთქებელს სანგრევის დამუხტვაში და აფეთქებაში. იცის აფეთქების შემდეგ სანგრევის დათვალიერება და დასკვნის გამოტანა უსაფრთხოების თვალსაზრისით.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოკიდებულებით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების და აპარატურის გამოყენებით.	შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოკიდებულებით შეასრულოს სამრეწველო ფეთქებადი მასალების მიღება და მოახდინოს ელექტრო დეტონატორების დახარისხება; ფეთქებადი მასალების გადატანა დადგენილი წესით სამუშაო ადგილამდე; ასაფეთქებელ სანგრევზე ჩატარებული ბურღვითი სამუშაოების

		შედარება ბურღვის პასპორტის მონაცემებთან. შეუძლია განახორციელოს ასაფეთქებელი გარემოს დაცვა. აფეთქების შემდეგ მოახდინოს გვირაბის ჭერის ჩამოწმენდა. შეაფასოს აფეთქების ადგილზე სანგრევის მდგომარეობა და ჩააყენოს საქმის კურსში ოსტატ-ამფეთქებელი.
დასკვნის უნარი	შეუძლია პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს მიწოდებული ინფორმაცია და ავლენს შესაბამისი სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელი დასკვნის გარკვეულ დამოკიდებულებით გაკეთების უნარს.	შეუძლია ხელმძღვანელის მითითება პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს სხვა მსგავსი პრობლემების გადაჭრისათვის. ავლენს აფეთქების საქმისათვის გამოსაყენებელ გამზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დამოუკიდებლად არჩევის უნარს.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიასთან დაკავშირებული მარტივ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. იყენებს საინფორმაციო და საკონტროლო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით.	შეუძლია ქართულ ენაზე დეტალური ზეპირი და წერილობითი ურთიერთობა მარტივ პროფესიულ საკითხებზე. ახდენს ასაფეთქებელი საშუალებების ტარირებას და განაწილებას სანგრევისათვის და წარუდგენს ხელმძღვანელს. შეუძლია მუშაობის პროცესში წამოჭრილი მარტივი დარღვევების აღმოჩენა და ხელმძღვანელის საქმის კურსში ჩაყენება. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია პროფესიული ინფორმაციის მოძიება ინტერნეტიდან და ლიტერატურიდან. შეუძლია ხელმძღვანელთან ერთად მოძიებული მასალების გაანალიზება.
სწავლის უნარი	შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით.	შეუძლია პროგრამით განსაზღვრული საგნების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა. ნასწავლი მასალის გადმოცემა და პრაქტიკულად განხორციელება. შეუძლია მათემატიკის, ფიზიკის, ხაზვის, უსაფრთხოების წესების შესწავლის. სხვისი ხელმძღვანელობით და შეფასებების საფუძველზე შეუძლია შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება.
ღირებულებები	გათვისებული აქვს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებები და მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები. იცის აფეთქების ძირითადი დანიშნულებები. გაცნობიერებული აქვს პროფესიული მოვალეობები. მკაცრად იცავს აფეთქების საქმის ერთიან უსაფრთხოების წესებს.

ამფეთქებლის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოდაგი	იცის საამშენებლო ხაზვის ელემენტები, შენობა-ნაგებობებში გამოყენებულ კონსტრუქციების სახეები. ფლობს აფეთქების ტექნიკას
------------------------------	--	---

	კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გარკვეული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	და ტექნოლოგიას. იცის აფეთების უსაფრთხო რადიუსის შემოფარგვლა და დაცვა. იცავს ფეთქებადი მასალების მოპყრობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობის საზღვრებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი. შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მასალების და მეთოდები.	შეუძლია შენობა-ნაგებობების ნახაზების წაკითხვა. ზედმიწევით ზუსტად იცავს აფეთქების პროექტს, ერთიანი უსაფრთხოების წესებს. შეუძლია პირველი და მეორე რიგის სამუშაოების გარჩევა. ჩატარებული სამუშაოს ხარისხის განსაზღვრა.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციაში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	შეუძლია ხელმძღვანელთან შეთანხმოს საკუთარი მოსაზრებები შენობა-ნაგებობების აფეთქებით ლიკვიდაციის პრობლემების გადასაწყვეტად. შეუძლია აფეთქების დროს წამოჭრილი წინააღმდეგობების დაძლევა და საჭირო მითითებების გაცემა. შეუძლია აფეთქების უსაფრთხო რადიუსის ირგვლივ განლაგებული პერსონალის ხელმძღვანელობა და საჭირო მითითებების გაცემა; პრობლემების არსის დეტალური ახსნა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებულ საკითხებზე.	შეუძლია პროფესიულ საკითხებზე დეტალური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ქართულ ენაზე. შეუძლია ხელმძღვანელობას წარუდგინოს მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების აღწერა; დამოუკიდებლად მოიძიოს პროფესიული ლიტერატურა და იპოვოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია პროგრამით გათვალისწინებული საგნების თეორიული და პრაქტიკული ნაწილის ათვისება და შესწავლა; ნასწავლი მასალის გადმოცემა და პრაქტიკულად განხორციელება. შეუძლია საჭირო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოიძიება. სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების დაგეგმვა.
ღირებულებები	ყველა სიტუაციაში მოქმედებს პროფესიულ საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	საფუძვლიანად იცნობს პროფესიულ საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. გაცნობიერებული აქვს საკუთარი მოვალეობები. იცის აფეთქების დანიშნულება და მნიშვნელობა. გაცნობიერებული აქვს პროფესიული მოვალეობები. იცავს აფეთქების უსაფრთხოების წესებს. არის კეთილსინდისიერი და კომუნიკაბელური.

ამფეთქებლის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს	იცის ასაფეთქებელი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები; აფეთქების პირობებიდან გამომდინარე შესაბამისი ასაფეთქებელი
-----------------	--	---

გაცნობიერება	პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	ნივთიერებების შერჩევა; აფეთქების პასპორტის (პროექტის) შედგენა. ფლობს აფეთქების ტექნოლოგიას; სამთო სამუშაოების პროცესების საფუძვლებს. იცის ინფორმატიკისა და მენეჯმენტის საფუძვლები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია ასაფეთქებელი გარემოს, პასპორტის (პროექტის) მიხედვით დამუხტვის ოპერაციებში მონაწილეობის მიღება. ასაფეთქებელი საშუალებების ტარირება შესაბამისი აპარატურის გამოყენებით. შეუძლია შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.
დასკვნის უნარი	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია ქანების აფეთქების პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის განხილვა, მიღებული შედეგების ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია აფეთქების სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა სამთო-ტექნიკურ პირობებში. შეუძლია დამოუკიდებლად ათვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია მომავალი პროფესიული სწავლა-განათლების მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	პასუხისმგებლობით ეკიდება აფეთქების საქმეს. ზედმიწევნით იცავს აფეთქებითი სამუშაოების ერთიან უსაფრთხოების წესებს. მოქმედებს პროფესიული ეთიკის საფუძველზე. იცავს საპროექტო და ტექნიკურ ნორმებს. ფლობს აფეთქებითი სამუშაოების მენეჯმენტს.

ამფეთქებლის მეხუთე სფეროს კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	იცის ასაფეთქებელ ქანთა მასივების მდგომარეობის შეფასება; აფეთქების მეთოდები და ხერხები, აფეთქების ტექნიკა და ტექნოლოგიები, როგორც ჩვეულებრივ, ასევე რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში. ფლობს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ მენეჯმენტს, სპეციალიზირებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).
ცოდნის პრაქტიკაში	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების	დამოუკიდებლად შეუძლია როგორც ჩვეულებრივ, ასევე რთულ-

გამოყენების უნარი	ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	სამთო-გეოლოგიურ პირობებში შეასრულოს ქანის დამუხტვა და აფეთქება დამტკიცებული პასპორტის (პროექტის) მიხედვით. მკაცრად იცავს აფეთქების ერთიან უსაფრთხოების წესებს.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია აფეთქებასთან დაკავშირებული კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია პროფესიული იდეებისა და ინფორმაციის თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხიანი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შეუძლია მომავალი სწავლის მიმართულების განსაზღვრა აფეთქების საქმიანობის ცვალებად და გაუთვალისწინებელ სამთო-გეოლოგიურ პირობებში.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აფასებს საკუთარ და სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი. განუხრელად იცავს და სხვებისგანაც ითხოვს აფეთქების საქმის ერთიანი უსაფრთხოების წესების დაცვას. ზუსტად ასრულებს საპროექტო დოკუმენტაციის მოთხოვნებს და ტექნიკური ნორმებს. ფლობს აფეთქებითი საქმის მენეჯმენტს. ატარებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს.